

ომის ამბები

შერეულ-გაფორმებულ

დამარბული ზარბაზნები.

პოლეთის რაიონში რუსებმა ყურადღება მიაქციეს არაჩვეულებრივ სამოქმედო სისხლოვას. გათხრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავსტრიელი ჯარისკაცთა ნაცვლად ოცდა ათამდე ზარბაზნი დაგროვდა.

კილიკია-ზეითუნში.

კილიკიასა და ზეითუნში სომეხთა აჯანყება. დიდძალი სომეხი გასუსვიტეს.

ბულგარები ვარნაში.

ბულგარების შესვლისთანავე ვარნაში საშინელი ხოცვა ქვებდა ასტყდა. მშვიდობიანი მცხოვრებნი რეგულარულად იჭრებოდნენ. ბევრს ადგილას ცეცხლი მიჭინავდნენ.

ბულგარული ნავთბადგურები.

ბულგართა სხვა ნავთბადგურები უკვე გერმანულ ოპოციონთა განკარგულებაში გადავიდა.

ინგლის-საფრანგეთის ნაღმონები. ინგლის-საფრანგეთის ნაღმონები დასტურდნენ და ოსმალთა პოზიციებს ზარბაზნებს უშინენ.

იტალიეთის გარდასწვები.

იტალიეთში მტკიცედ გარდასწვებია არ გაერის ბალკანეთის ომში. საბავარი ალუბიკა ძლიერი იერიშები მიიტანეს ავსტრიელებზე და მით აძილეს იგინი ტრიესტში და აღრიატიკის სანაპიროებზე გადმოაყვანონ ჯარები.

ფრანგთა ახალი ზარბაზნები.

ფრანგებს ახალი ტიპის ზარბაზნები გამოუგონიათ 44 სანტიმეტრიანი. ამობეზენ, როგორც ხარისხით ისე სიდიდით ფრანგთა არტილერიაში მას პირველი ადგილი ეკუთვნის.

რუსები რუმინეთის გზით.

ამ ეპოქაში რუსებს გარდაუწყვეტლივით რუმინეთის გზით მიემდებოდა თხრებები. კიუხე იმავსა, რამდენად სიზარტუნობის რუმინეთის რუსეთს და დასთანამდებდა იგი თუ არა რუსების ასეთს გარდასწვებულა.

რუმინეთის ახალი კაბინეტი.

ახალი რუმინეთის კაბინეტი შეიცვალა. ახალი კაბინეტი იმას ხელმძღვანელი იყო გერმანოვი-

ლეს, როგორც არის ყოფილი საბჭოს თავმჯდომარე კარბი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მარგლომინი და ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარგლომინი.

მაიორესკოს აზრი.

რუმინეთის ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი მაიორესკო ეს-ეს არის შვეიცარიიდან დაბრუნდა და გინაცხადა, რომ გერმანიაში და ავსტრიაში ყოფნის დროს დროულად დაგროვდნენ, რომ გამარჯვება ავსტრო-გერმანიის მხარეზეა. ჩვენც გემართებოდეთ ამ ძლიერი სახელმწიფოთა მხარი დავიჭერით.

საბერძნეთი და ბულგარეთი.

საბერძნეთის მთავრობამ მოქმედი ბილეთი დაუბრუნა სამხავაროდ იმ ბულგარებს, რომელნიც სამშობლოში ბრუნდებიან ომში წასასვლელად.

გერმანეთი და რუმინეთი.

რუმინეთმა ნება დართო გერმანიის მატარებლებს მის საზღვრით პირდაპირ ბულგარეთში შევიდნენ.

მეფე კონსტანტინე.

მეფე კონსტანტინემ მტკიცედ გადასწყვიტა არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს ბალკანეთის ომში. იგი არასდროს არ გაგზავნის ჯარს ავსტრო-გერმანულთა საწინააღმდეგოდ, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუნდა ავსტრო-გერმანულთა ჯარებს საბერძნეთის ტერიტორიათა მოუხდეთ სტამბოლში შესვლა.

რუსული სტამბა მამბურგში.

მამბურგში გერმანელებს რუსული სტამბა გაუხსნიათ.

შტაპის დეპეშები

პეტროპოლში, 16 ოქტომბერი. ოფიციალი. მთელს ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. სტარის მარცხენა ნაპირზე, რაფალოვის დასავლეთით, ავსტრიელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ სოფ. კოსტიუკოვთან შეჩერებულ იქნენ. ჩარტორისკის და-

სავლეთით რამდენიმე მძაფრი შეჯახება მოხდა. სოფ. გუტა ლისოვსკასა და რუნდინასთან საქმე ხშირად ხშირად მიდიოდა, თუმცა მდგომარეობა არ შეცვლილა. კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თავდარივი ექნებოდა დაკვირვითი. მაგრამ მოსტყუვდა. მეფის გენერალმა აქაც ცვლილებით გააპარა თავისი ლაშქარი; პირდაპირ გზას გვერდი აუხვია და მოულოდნელად უკან სახმრეთისკენ გაუძღვა ქართველობას მტკვრის სათავისკენ, სადაც ჩარტორისკის იყო მავარი ციხეები და აღუარებელი ქვაბები არტანის და არდანუჯის გზით, ქარაფ კლდე-ღრეებით. ამ ციხეებში რამდენსამე წელიწადს ატარა მდევარი ლაშქრობა აჰმათისა და აქარა-არტანუჯის ჯოჯობებით ქვესკნელი ჩაგდო. მართალია, აქაც აჰმათის ლაშქრობას, როგორც სჩანს, აულია და გაუნდადებია პირველ ხარისხიანი ციხეები, არტანუჯი და თუხარისი. მაგრამ ეს ძვირად დაუღვდა სულთან აჰმადს: სამიოდ წლის ამ ქვეყანაში ხეტიალმა უგზო-უკვლად უღიარა კლდეებში, სადაც ყოველგან ხედებოდა გამაგრებული ციხეები და ვაკეცობით

განთქმული ტაოელ-კლარჯ-აქარლები და ლაზები, მეტად მოქანცა და გაახლეს არაბების ლაშქრობა. განსაკუთრებით დიდს ზიანს აყენებდნენ აჰმათს ლაზები და აქარლები. ძველად მთელი ეს ქვეყანა ტრაპიზონის არემარედან დაწყებული ლიბ-აქარის მთამდე და ზღვიდან მესხეთ-არტანის საზღვრამდე იწოდებოდა ლაზისტანად და ოდესმე თავისი მეფეებიც ჰყავდათ. ეტყობა, რომ ამ ქანთა მეფეს (ე. ი. მთავარს) ბაჟურისა, დიდი ძირი მიუყენებია არაბებისთვის. მის და ქართველ ლაშქრობის პარტიზანულ ომიანობას ამ ქვეყნის ვიწრო კლდე-ღრეებში ისე მოუქცევდა შემოსეული საზარელი „ურჯული“ მტერი, რომ ბოლოს, როგორც სომხის შემართან გვერდს სწერს, ეს ამაყი არაბთა სპასპეტი შერიგებულა და ცეცხლდამდა.

*) ჩვენს მატინეში, როგორც ვთქვით, მაჰმად-სულთანის შემოსევის ამბავი შერეულია და არაფერი მურგან-ყრუის შემოსევის ამბავთან და ეს არის იმის მიზეზი, რომ ზემო აღნიშნულ ციხეებთან ბრძოლა (ზუნანი, ფლა, ირანი, არაზი, ბელოტი, ციხე-დიდი, სარკინი, კასპი, უფლის-ციხე, გორი, ურბანი, აწყველი და ოძახე) და მათი აღება ყველა მურგან ყრუს მიეწერება. მაგრამ რადგანაც ბასილი კათალიკოსის წერილში დაამტკიცა, რომ სულთან აჰმადის ლაშქრობა სულ მტკვრის გზით მიიწვიდა მცხეთიდან დაწყებული „ვიღარ არგვითის მთამდე“, ექვსი შტანაც არ შეიძლება იმაში, რომ მას ზემო ჩამოთვლილი ციხეები დაუხვდებოდნენ. გზა-გზა და იმით უფროდ არ დასტოვებდა. ხოლო მურგანმა იმავე გზით სლავში შეიძლება მერგანეც შეებრძოლა იმავე ციხეებს და იმათან უმეტესი ნაწილი დააქცია. —საუბრალობა, ისიც, რომ ვახუშტის გეოგრაფია თუხარის და არტანუჯის ციხეების დარღვევასაც მიაწერს იმავე ყრუს, თუმცა მურგან-ყრუის ლაშქრობა, როგორც დავით და კონსტანტინეს ცხოვრება და სხვა წყაროები ჰმოწმობენ, ოცხედან პირდაპირ იმერეთში გადავიდა და მასასადამე არტანუჯის ხეობაში მის ფეხებზე არ შეუღვამს. ხოლო არტანუჯის ხეობაში რომ საბოლოო ბრძოლა მოხდა აჰმადთან, ამას ადასტურებს თანამედროვე აჰმადისა სომეხი მწერალი გვიონი (იხ. ქვემო). სჩანს ის ციხეებიც აჰმათს აულია და არა მურგანს.

*) გვიონდი (გვ. 25) სწერს „ბატის“ მდინარე: „ბათი“ ანუ „ბათი“. ახლანდელი ბათუმი; „ბათის მდინარე“ იგივე ბათუმის მდინარეა, ე. ი. ჭოროხი. სხვა შემართან სომეხების ბათუმს მდინარეს უწოდებდნენ ბერძნულ სახელს „აკამპისი“, რომელიც იმავე ჭოროხს ნიშნავს. *) ყველა სომხის მემკვიდრის მემკვიდრეულად გამოიქვეყნა (პატკანოვი, გინი და სხ.) სომხურად დაწერილს გეოგრაფიულს სიტყვას ჭანს რუსულად სწერენ ტენე და განმარტავენ, ვითომ ეს სიტყვა ნიშნავს Китаець (ჩინი) და ჭანის—Китайская империя, Китай ქან-ბატურს—Китайский царь Джамбакур და მოგვითხრობენ, ვითომ აჰმადის ლაშქრობა ჩინეთის მეფეს ჯამკურ ორბუნიანს ებრძოდა და მას ჰქონდა ის მიწერ-მოწერა. პატკანოვი „გურნისებში“ ტენდეციოსის ანგარიშით უნდა განგებ ამხინჯებდნენ ქართველთა ისტორიას, თორემ როგორ შეიძლება კაცის განგება იმდენად დაჩაღვნიდეს და დაეჯეროს, რომ აჰმადის ორას ათასიანი მხედრობა

დაც საყურადღებო იყო. გორის საარჩევნო კომპანიიდან, რომელმაც ფრიად სერიოზული ხასიათი მიიღო თავის დროზე, გამარჯვებული გამოვიდა ის მინიარულემა, რომელიც ემსახურება ეროვნულ-დემოკრატიულ პრინციპებს ჩვენი სამშობლოს წინაშე. ამ პირველ გამარჯვების შემდეგ, თავი და თავი საკითხი ის იყო გამოვიყენებდით თუ არა მას და გამოვადებინებდით თუ არა ჩვენს ხალხს შესვლას გორის თვითმართველობაში შესაფერ ნაყოფს. ამ მხრივ ახალ შემადგენლობის მუშაობას კარგი პირი უჩანდა და წუნი არ დაედებოდა. ხმოსნები და საბჭო გულმოდგინედ შეუდგნენ თავიანთი მფარველის აღსრულებას და ყველაფერში პირნათლად გამოდიოდნენ. მაგრამ ერთ ჯგუფში დაიწყო ყრუ მუშაობა, რომელიც ფრიადის სათნოების საბურველით გარედ გამოცხადდა რე ქალაქის თავცა ზვიანდებულს, ძალს აღმატებული რამ მისათხოვა გორის ქალაქის თავი, ბ-ნი ქიტიაშვილი, რომელმაც დიდი უნარი, ცოდნა ფხა, სიყვარული და გრძნობიერება გამოიჩინა მუნიციპალურ საქმეებში და დიდი მიღობა მიიღო ლაზარეთის მოწყობის ძნელ საქმისათვის, იძულებული იყო გასულიყო თვითმართველობიდან თავის ნებით, რა შეუძლებლად დინახა თავის ადამიანურის ძალით ასეთი გავიანდებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. მაგრამ, რაც დღეს ხდება ქალაქის თავის არჩევნის გარეშე, ის მეტად სიმპტომიტიურია და ექვსი აღმძვრელი. მოველოდით, რომ თუ ბ-ნი ქიტიაშვილი, დარბაზიელი და წრფელი სამუნიციპალო მოღვაწე არ აკმაყოფილებდა მათ, დიდს მომთხოვნი ისეთს პიროვნებას დაასახელებდნენ ქალაქის თავად, რომელიც უფრო მეტის სიმამხილთ აწარმოებდა საბჭოს საქმეებს. გვეგონა, რომ ქიტიაშვილის დაწვევების შემდეგ საბჭო გამოსძებნიდა „უფრო“ დამოუკიდებელ პიროვნებას, რომელსაც მეტი ეროვნული ფხა დაამყვანებდა და „მეტი“ სიმტკიცე და რწმენა ექნებოდა ქალაქისა და ერის საქმისადმი. სამწუხაროდ, მეტად მძიმე სურათი გვეშლება ის თვალ-წინ: ნაწილი ხმოსნებისა თითქოს რაღაცა საზოგადოებრივ აპატის შეუპყრიათ, თითქოს მათ მთლად დაუხარჯავთი მთელი ენერჯია წინასწარ მუშაობაში, ნაწილი კიდევ მოხელეობაში

აღზრდილი, უფროსთა ხელის შემყურე, საკუთარ ინიციატივას და თვითმოქმედობას გადაჩვეული, „ბრძანებს“ მისდევს. ერთიც და მეორეც შეუწყნარებელი დანაშაულს ჩადის სამშობლო ერისა და მომენტის წინაშე. ლალატი იქნება ქალაქის თავად დღევანდელ მომენტში ისეთი პირი გავიდეს ვისაც სწორედ ეს აპატიამ და ჩინოვნიკური სისხლოვით ასახელებს. პირველის კანდიდატი უქვეყნა „მოწყალეობის“ მიღებათ ჩასთვლის ქალაქის მოუარაობის ადგილს და იმათი ბრმა იარაღად გაიქცევა ვინც ამ მოწყალეობას მოიღებს. მეორე კი ისე გაშინჯავს ქალაქის მოურავის პორტფელის მიღებას, როგორ მისგან დავალებულ ხელქვეით მოხელეთა მიერ მიერთებულს საჩუქარს. ერთიცა და მეორეც ქალაქის საქმის დამლუგველი იქნება. საჭიროა კაცი, რომელიც დამოუკიდებელი იყვის და რომელიც არ იყოს გარყვნილი სხვის ხელის შემამკერლობაში, ადინიანი საზოგადო აღლოს მექონი, რომელსაც სწამდეს და იმედი ჰქონდეს საზოგადო ინიციატივისა და ერის მომავლისა, კაცი უნარიანი სამუნიციპალი ასპარეზისთვის. ვინც იცნობს ბ-ნ ქიტიაშვილის სამუნიციპალი პრინციპებს და ვისაც ჰყოფნის მოქალაქობრივი სინდისი პირნათლად სთქვას, თუ რა გაცეთებულა და რას ჩაჰყრია საძირკველი გორში ბ-ნ ქიტიაშვილის მოურავობის დროს, იგი დავეთანხმება, რომ მისი მჯობნი კაცი დღეს დღეობით გორისათვის ძნელი მოსაძებნია. სამუნიციპალი საქმე ადვილი არ არის. ამისთვის სკოლა და აღზრდა საჭირო. ყოველად მომზადებულს, ყოველ მხრივ შემკულს მოღვაწეს იშვიათად იშვით ჩვენ დროში, როდესაც არ არის ასპარეზი ასეთ მოღვაწეზე აღზრდისათვის. ბ-ნი ქიტიაშვილი სრულს საბუთს იძლევა, რომ იგი კარგი სამუნიციპალი მოღვაწე დადგება. ყველაფერი ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ყველა შეგნებულს ხმოსნანი, არჩევნების დროს ანგარიშს უქვეყნებს მის უპირატესობას და კვლავ მას აირჩევენ გორის მოურავად. ამას მოითხოვს უანგარო სიყვარული საზოგადო საქმისა და ქვეყნის ინტერესისადმი და დეე მომხდარი ინციდენტები ჩვენ ნორჩ თვითმართველობის ისტორიაში დაჩქეს აქტად საზოგადოებრივ ძალის გამოფხიზლებსა.

შეგონება საქართველოში არაბებისა მე-8 საუკუნეში (698-739 წ.)

(გაგრძელება. იხ. საქართველო № 119)

აბდულაზიმ საიდუმლოდ აცნობა სუმბატს: თუ ბერძენ-ქართველთა მოშორებით და შერს ქვეყანაში დაბრუნდები, დიდად დავასაჩუქრებთ და მამულ-დღეულებს დაგირბუნებთ და ყველა შერს უფლებასაცაო; ყოველივე ეს საშინელის ფიციო აღუთქვა. სომხის კურაპალატ-ყოფილი ამ ფიცს მიენდო: ალბად ჰუიქროდა, რა დღეს თუ ხვალ ქართველთა ლაშქრობა დაიღუპება, არაბები გაბატონდებიან იმერეთში და მას აქაც ბინა მოეშლებოდა. მიიღო რჩევა; და არაინ არ ელოდა ისე თვით აღდგომა დღეს (რომელიც იმ 711 წელს 12 აპრილს მოდიოდა), როცა ყველა ლხინში იყვნენ გართულნი, უეტრად სომეხთა კურაპალატი მთელის მისს ჯარით დაეცა ფოთის ქალაქს, გაცარცვა; საყრდებიდანაც რაც რამ ძვირფასეულობა იყო მოიტაცა და გაიქცა; ქართველ-ბერძნებს გვილატა და აბდულაზიმ მიუვიდა იმ დროს, როცა აჰმათის ლაშქარი ოძახის ციხეს გარემოებდა. ამ ამბავს თანამედროვე გვიონდი დასძენს, რომ ასეთმა უმადურმა საქციელმა სომხის მთავრობამ ბერძნები (ე. ი. ქართველები) იმდენად ააშფოთაო, რომ ამას იქით ყველა აღდგომა დღეს სუმბატს შეაჩვენებდნო ეკლესიებში („ანათემა“) და „დღესაც ამ დადგენილებას ასრულებენო“, ე. ი. 767 წელსაც, როდესაც ცოცხალი იყო ეს მემკვიდრე გვიონდი.

რომ მკითხველმა კარგათ გაითვალისწინოს სისხატეკე ზემო აღწერილის ბრძოლისა სტეფანოზ მეფესა და აჰმათს შუა, საჭიროა რამდელ დაუკვირდეს ზემო აღნიშნულს „დატას“ ანუ წელიწადს, რომელიც დასხით (711 წ., 12 აპრ.). ეს დატა შედგა ამ ნაირად: ყველა სომხის მემკვიდრე, გვიონდიდან დაწყებული, აღნიშნავენ, რომ სომხის მთავრის სუმბატის ფოთში ჩაყენება მოხდა 705 წელს და ამას დასძენენ, რომ მან ფოთში ექვსი წელი გაატარაო. მასასადამე მისი ლალატი გამოქცევა მოდის 711 წელს, აბდულაზიმს (12 აპრილს). რადგან აჰმათი

ხალიფა-ველიტი გამოსიტურა პირველს წელს მისის მეფობისას, ე. ი. 705 წელს, აქიდან ცხადდება, რომ მას ქართველებთან ომში დაუყვია ექვსი წელიწადი (711—705=6). ვთქვით, ვითომ აქიდან ერთი წელიწადი გზას მოანდომა დამასკოდან საქართველოს საზღვრამდე. დაგვიჩვენა ხუთი წელი. მასასადამე ხუთი წელიწადი მოუხდომებია აჰმადს, რომ სულ რაღაც 160 ან თუნდ 200 ვერსი გაველო თავისი ლაშქრით ახლანდელ აქსტაფიდან ოცხის ციხემდე (აბასთუ-მანი).

მეგობრული უარყები

ქართული
ბიზუიციონიზმი



კ. ბალმონტი
სვეტიანკი... სვეტიანკი... სვეტიანკი..



ი. გრიშაშვილი
ზრზრზრ... ტრრრრ...
ბრრრრ გ-ე-ნ-ა-ც-ე-ა-ლე!



გ. ქუჩიშვილი
მე თქვენ გიჩვენებთ
დამაცათ ერთი ავეშეა ნავი!



ს. ფაშალიშვილი
ლმელთანი იქ... იქ... იქ... იქ...
საქალთველო ჰყავის!

მინიატურები

IV

სათაყვანებელს

როს ახლოს ვიყო, შორს იდექი... არ მომეკარო...

შენ ყვავილი ხარ ჩემი სულის, ყვავილი წმიდა, ვით საიდუმლო ნათლობისა... მადლის კურთხევა... მსურს ასე შორით გიყურებდე სიზმრის ფიქრებით, მაგ ბროლის თითო სულის სიმბეს ამითრთოლებდე, კენესა აღმომხედეს, ვით უსიტყვო სიმღერის ჰანგი, ველის ყვავილად იშლებოდეს და ნახი ფრთებით სვავდეს, გასწვდეს ცისსარტყელის სიკეკლუცესა, სულის ნექტრისა სიტკბოებას — თავდავიწყებას!

როს ახლოს ვიყო, შორს იდექი... არ მომეკარო...

წყნარად დუმულში მსურს სული სულის დავეუქორწინო, მწუხრის ძაძები გარდაცვალო მეფურ პორფირად, ვფუზირო ორ ტბის ბზათა შრიალს, შავ ვარსკვლავთ ციმციმს, მღუმარე სივრცის ოაზისთა საღმრთო საფარსა, მუნ მომეპოვოს საღმუნება უზენაისის, თან გავეყოლოდ შენს ალ-ნადებ ნაწნავთ იალქანს და ცად მოწყვეტილ მეტეორის ქროლვა-ბზრიალით გარდამელახოს ეამთა სრბოლის მზის სარბიელი...

როს ახლოს ვიყო, შორს იდექი... არ მომეკარო...

Candide.

საბერძნეთის მღვომარეობა



საბერძნეთი აქეთ გამორბედიან, პირსაც აქეთ ვიბრუნებ!
იქით გამორბედიან, იქეთ ვიბრუნებ!

მგოსანი!

მან პომის უქანასკნელი თავი დასწერა; ხელთნაწერი გაზეთის ქალაქში გახვია და გამომცემლისაკენ გაეშურა.

სალამო იყო.

ელექტრონის ვარსკვლავები ქუჩაზე ჩამწკრივებული კიპაროსის ხეების ტოტებიდან მალულად გამოიქტირებოდნენ.

ბაღში სიმებიანი მუსიკა უკრავდა. ორ-სამ სართულიანა სახლების დარბაზებიდან, ახალგაზდათა სიცილი-ხარხარი მოისმოდა...

ქუჩები სიმღერებში იხსნა, ქუჩები ბრწყინავდა, ქუჩები სიბნელეს მოეცვა...

მის პირველად ბნელი ქუჩა უნდა გაეგლო.

მუშებისა და ლატაკების გოგობიქები ქუჩაში გამოსულიყვნენ და თამაშობდნენ, ცელქობდნენ. დაშორებით მეორე ჯგუფი ბავშვებისა — ირეოდა, ჩხუბობდნენ, უშმაწურ სიტყვებს გაიძახოდნენ... იქვე რამდენიმე დედაცას თავი მოეყარათ და რაღაცაზედ გაცხარებთ საუბრობდნენ.

მგოსანმა ამ ქუჩაზე ღუგის გაუჩქარა.

რა. შენიშნეს. ყველა ცნობის მოყვარებამ გაიტაცა, ცქერა დაუწყეს.

— მგოსანი! — წამოიძახა ერთმა. ცელქმა ბავშვებმა ტაშის ცემა ასტეხეს.

იგი სიამოვნების ყინმა გაიტაცა და მადლობის ნიშნად ყველას სალაში მისცა, ყველას თავს უკრავდა. მგოსანი ელექტრონით გაშუქებულ ქუჩას მიუახლოვდა.

კარავით გადმოხურულ ძვირფასი ხეების ძირში ძვირფასად მორთული ქალ-ვაჭნი ლაღობდნენ, ნეტარებას ეძლეოდნენ. ხავერდით მორთული ეტლები წამ და უწუმ დაპ...

ქროდა. ქუჩაში სიცილზე სჩქედდა. ყველა ნეტარებას ეძლეოდა...

მგოსანმა კრძაღვით ჩაიარა. მისმა მკრთალმა სახემ ვალადებულთა ყურადღება მიიპყრო.

— მგოსანი, მგოსანი! ხა, ხა, ხა! გაისმა ქუჩიდან ქუჩამდე მწარე სიცილი.

მას სიმწრის ქრუანტელმა გაურბინა. შეჩერდა, თვალი გადაავლო. გაეღიმა და გზას გაუდგა.

მგოსანი გზას აშორდა. სასაფლაოს მიდამოში შევიდა და გაცივებულ ლოლზე ჩამოჯდა. იგი მწარე ფიქრებს მიეცა. უცებ აღმოსავლეთით ღამის მნათობმა თავი ამოყო და სევდით შეპყრობილ მგოსანს თავზე სინათლის გვირგვინი დაადგა...

მგოსანი წამოგდა. უძრავ ლოდებს თვალი გადაავლო და ხალათი მოიხადა. ახლად დაწერილი პოემა გადაშალა და მთვარის შუქზე ხმა-მალა კითხვა დაიწყო.

პომის დათავებისას მას გვირგვინოსანი მგოსანთა მეფე წარუდგა და ახალგაზდა მგოსანს ოქროს კალამი გადასცა.

ნ. ახათიანი.

ბერლო ზმანია

სულის ტრაგედია
ხანდრა შანშიაშვილისა.

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 114)

ხორას პირველი წყება.

სოფელს ზე დავფრენო, ჩემს თვისტომს ვალხენთ! სპეტაკი გული, ჩვენგნით აღძრული, ოცნებით გველტვის, შორიდან გვეტრფის!

ხორას მეორე წყება.

ჩვენთაგან ყოველს, ნახ სხივთა მთოველს, ვინც კი მოგვეწვდება უკვდავი რჩება ქალი ცისია მარად მისია.

ბერლო. ქალი ცისია! ჩემს ბუნებას შენათვისია!
გ ე ა. ვიშ რა ვიღონო, რომ ჩემს კალთას არ დაგაშორონ!

ბერლო. (ბედიას ხელს უქერს ავხანებული მუდარით)

უთხარ, ნუ მტოვებს!.. უთხარ მეთქი, ჩემო ბედი! გადამიშალე შენი წიგნი ბედისწერისა, თუ აქ რაოდენ ძლიერი ხარ... რად სდუმხარ? რად? რად?!

(ცისია გაუღიმებს და ნელ-ნელა ჰშორდება)

აგერ მან ერთხელ განიღიმა... ხელი ასწია...

მხიარულ რხევით ნიშნს მადღეს... თავისთან მიხმობს —

ეთეოვანო! სად გაქს ბინა? საით გამოგყვე?.. ჩემის ოცნებით მარტდ შენთან ვიმყოფებოდი...

შენს ნახ ხატებას ზული ჩემით ვჟალერსებდი...

დარჩი, ნუ მიხვალ... შენს ასულთაც ვემუდარები...

(იმ დროს, როდესაც ცისია უკვე დაშორდა და ბუნდად ღა სჩანს, ცისია ერთხელ კიდევ შესდგება, ხელს აღიპყრობს, თითქოს თავისთან იხმობსო, ბერლო მისკენ გასწევს. დედა წინ გადაეღობება და გულში ჩაიკრავს. ბერლო იბრძვის, ჰსურს გაეცალოს და ცისიას კვალს მიჰყევს.)

გ ე ა. შვილო, გონს მოდი!.. არ გავიშვებ... აბა სად უნდა წახვიდე, შვილო! განსაცდელში რად ავდებ შენს თავს? მოხხედ ჩემს ცრემლს... ჩემს მედარას... გულს ნუ მომიკლავ...

ბერლო. არ შეიძლება, დედა ჩემო! უნდა წავიდე...

არა, გამიშვი! (ბრძოლით გაეშვება და მსწრაფლ გადის)

გ ე ა. ვაი ჩემს თავს! ვაი საბრალოს!

განა არ სჯობდა ისევ ჩემში გქონოდა ბინა?

გადაშლილიყავ ნორჩ ყვავილად, კვლავ დამქენარიყავ, ან მსუბუქ ღრუბლად გესრიალნა ჩემს ველმინდორზე, ვიდრე ხორცსხმული მეც მტანჯავ და შენც იწირებო?

ბერლოს ხმა. მგონია, თითქოს ჩემს დიდ მიზანს მოგიახლოვდი!

გ ე ა. ვინ მოსთვლის დედის მწუხარებას —

ბერლოს ხმა. მაგრამ გშორდები.

გ ე ა. მეც ხომ გშორდები! უკან ოდეს დაგაბრუნებ და?

მორჩა! აღსრულდა! ჩემი თხოვნა არ შეისმინა და ნებით გაჰყვა, ვინც ნიადაგს ჩემსას აშორებს!

(ყრუდ ჰკვითინებს)

რით ვაიძულო, კვლავ მონახოს მან ჩემი მკერდი, მკერდი აღმზრდელი და უსაზღვროდ მოსიყვარული!

ვაი თუ შვილო მოვიქმედი ისეთი საქმე, რაიც შენ გაგნებს, ან მიგიყვანს გაჭირვებამდე!

მაგრამ, რომ ჩემთვის ძვირფასი ხარ, მსურს ჩემთან იყო?

ბედი. და კიდევ უნდა იყოს შენთან!

გ ე ა. ვისი ხმა მესმის?

ბედი. მოგეპოვება შენ ისეთი საშუალება, რომ დააბრუნო!.. როდის? შენთვის ეგ სულ ერთია!

გ ე ა. სიმშვილ წყურვილით?

ბედი. შეიძლება!

გ ე ა. მტრობა და შური?

ბედი. ეგ ყველაფერი შეიძლება, ეგრეც იქნება!

გეა. კიდევ რა დამრჩა? დაბრკოლება! ესლა კი ვიცი! ჩემი ბუნება აუმხედრო, ესეც აღსრულდეს! ქარი, გრივალა! წაღი ბერდოს გზა ვაღლობე! გზად აუყენე გარდუვალა კორიანტელი! წყალო, შენ იყავ სიციხისა და გავლის მიზეზი! მოიყვ სეტყვა! ელვა, შენით სეტყედ, გრავინადე! ცეცხლო დაბუდე მისი ბინა ოდეს აავოს! ქირო და სნება მოანატრე მას ჩემი თავი, რომ განკურნებას და სიციხის ჩემში ეძებდეს გემუდარებით დამიბრუნოთ ბერლო ზმანია!

(ამ სიტყვებთან ერთად მის წინ წარმოადგებინა გრივალა, წყალო, ქარი, ცეცხლი და სხვა ბუნების ძალები, რომელთაც გვა ეტყვის: — წადით მომგვარეთ! ასტყდება საშინელი ხმაურობა, ქარი ჰქრის, ჰქუხს და ელავს.)

ბეღია. დრო ჯამიც თანვე გააყოლე რომ დაგიბრდეს, რადგან პირობა ასეთია: (წიგნს გადაშლის და კითხულობს) „იმ დროდღე გყავდეს, ვიდრე შენს ბოროტს ძალებს იგი გაუმკლავდება, ანუ ვიდრემდის ზედი თვითონ არ მოისურვებს და მოკლედ: ვიდრე ბერლო შენი არ მოხსუნდება რისთვისაც უნდა მას სახელად „ბერლო“ დაერქვას!“ და უმოკმელო ოცნებისთვის ბერლო ზმანია. მაგრამ ეს ყველა არაფერი! იგი მონახავს შენის ბუნების წინააღმდეგ საშუალებას, ცოტად თუ ბევრად შენს ძალებს დაიმორჩილებს. აი, რას გირჩევ: შენ გყავს ერთი უფრო ძლიერი! და მას სახელად ვკონებ უნდა სიკვდილი ერქვას! შენ, აბა, აქ მო!

(სიკვდილი წინ წარმოსდგება) ეს უფროა შენი ერთგული! აბა, რას იტყვი, მუდროების დიდი საგანე! **სიკვდილი.** ჩემი საქმეა მოქმედება, როს დრო მოაწევს და მოქმედების დასასრული მხოლოდ სიჩუმე!

გეა. შენ შეგძლება ჩემი შვილის აქ დაბრუნება რომ ჩემი გული, ნიდავი კვლავ განიცადოს წადი და იგი დამიბრუნე! — ამას ვთხოვ! წადი! (სიკვდილი ვადის) მხოლოდ მისინე! (სიკვდილი ბრუნდება) განა თუ შენ რა ძალა შეგწევს,

ჩემი სურვილი აღმისრულო და შეილი ჩემი კვლავ დამიბრუნო, კვლავ ვიხილო ჩემის თვალებით? **ბეღია.** იმდენად იმას ვერ იხილავ, რამდენად იგრძნობ, რადგან შენ, გეას, ნაცნობ მკერდში ჩაგეკონება! **გეა.** შეილო კარგი ამბობს! — წადი ნახე! წადი სიკვდილი! აქ მომიყვანე! გვედრები: არა ეგნოს-რა! ხომ იცი, შეილო, დედის გულსა რა რიგად უყვარს! თუნდ ეგნოს კიდევ, შეისმინე ხეცწნა მშობლისა; მომიყვ ჩემი საყვარელი ბერლო ზმანია! (სიკვდილი ვადის) **ბეღია.** (გეას) ისმინე ჩემი! შენი შეილი შორს ვერსად წავა აქვე იქნება! — მხოლოდ ფიქრით, თვისის ოცნებით დაფრინავს ჩვენთან და ჩვენსაც ვაღლობება! მისი ნამდვილი ბუნება თუ რასაც მოითხოვს, ეს ჩემგან იცის და რაც იცის ოდნე ახდება. მე მას ვუჩვენებ ერთს ასულს სახელად ტურფას იგი ცისიას სამეფოდან მეტად შორს არის, ცხოვრების ტყეში ცხოვრობს იგი ცისიას მსგავსი. იქ შეჩერდება ბერლოს ლტოლვა და მისწრაფება, რადგან მის სხეულს რაც სწყურია, ჰპოვებს იმ ქალთან! იგი სიკვდილიც განუყრელი მათთან იქნება!

გეა. შეილო, მე ჩემი დამიბრუნე, სხვას არას დაედე!

II

ყვავილოვანი ბორცვი, მის გვერდით ტბა, რომლის ნაპირიც ტირიფის და მუხის ხეებით არის შემოზღუდული. როგორც პირველს სურათში, ისე ეხლაც ცისია თავის ქალწულთა ამალით გაივლის ნელის რხევით. ამაღა მღერის. როცა ცისია ოდნე და სჩანს, თანდათანობით ასტყდება ქარი, მოჰყვება ელვა და ქუხილი შემოდის ბერლო, უკან მოსდევს ბეღია.

ბერლო. (დაღლილ დაქანტული) ვუახლოვდები, მაგრამ იგი სულ წინ მიილტვის... როდემდის უნდა ვსდიო უკან — ახ, მოვიქანტე! (ბედიას ეყრდნობა) ნუ თუ აქ დაერჩე, მეგობარო, და ჩემი სწრაფვა, ჩემი სურვილი — ჩუ! რაოდენ ტკბილად ვაღლობე! (ყურს უვადებს) იგი ცისიას ნახი მხა... ავერ! მოჰფარდა. (მოსწყდება გრძნობა ამომჯდარი) იგი აქ იყო, ამ ადგილს და ვერ მოვუწწარ... ამ ვარდ ყვავილებს ჩაუარა სალამი მისცა. მითრმაც ავრე მეტის ეზბით მინახებულან და სურნელებს მოაფრქვევენ ჩემს დასათრობად. ნეტამც ამ ადგილს არ დაეშორდე... მაგრამ ახ, არა... მიყვარს ის მხარე სად მან კონტა ფეხი დაადგა, მაგრამ უფროვე ძვირფასია ყოფნა მის ახლოს! ბედიაც! მითხარ როგორ მიესწვდე... ვიცი არ მიჩრევე, მაინც გავეყვები... ეს გრივალა... ეს ქეპა გრავინვა თითქოს წინ მისწრებს; (წასვლას აპირობს მაგრამ მოქანტული წაიბარბაცებს. და ძლივს იმაგრებს თავს. ბედიას უნდა რაღაცა უთხრას მაგრამ ბერლო აწყვეტინებს) ვიცი, ვიცი თუ რასაც მეტყვი! — **ბეღია.** და რასაც მეტყვი, არ იქნება განა მართალი? ჰხედავ, რა რიგად მოჰქანტულხარ, სულს ძლივსდა ითქვამ!... **ბერლო.** განა თუ სული ჩემთან არის? იგი თან მისდევს... (სულის სისწრაფით გატაცებული) ო, რატომ ფრთები არ მასხია, მასთან ვაგფრინდე... მას არ მოეშორდე... **ბეღია.** ნახევარი შენი ბუნება ხომ მასთან არის, მაშ სხვა რაღა დარდი გაწუხებს? **ბერლო.** ნახევარი? რატომ სრული არ უნდა იყოს! მთელი და სრული! უნდა იყოს! ახ! უნდა იყოს!

რაო! რას ამბობ? არ იქნება? ნურც მე ვიქნები! ახ, მომეც, მომეც უებარი საშუალება რომ სრულყოფილი მიიღო მას ერთსა, მას შევეერთდე! **ბეღია.** მეტისმეტს ითხოვ! — **ბერლო.** (ძალა მიღებული კისერზე ეხვევა და თავს ისე იმაგრებს)

გამიგონე!.. თუნდა ის სიკვდილი! — აი, შენ წელი რომ ახსენე და მით მანიშნე რომ შემაერთებს მზად ვარ უთხარ! ჩემი ბედიაც! ნუ თუ ერთგული მეგობარი არ გებრალდება? (ძირს დაეცემა გონება მიხილი)

ბეღია. საბრალო იყო, თან ეგ დატოლვაც არ დაგყვებოდა! მაგრამ იქნები — და რა მალე — როს მას დაჰკარგავ! (ბერლოს აბრუნებს) ყური დამივდე! ადექ ზეზე! ავრ ვით მოსწყდის? თუ კი მაგზე მეტი ღონე, შენ არ შეგწვედა, მაშ თავს რად იდე, რაც წინს ძალას აღმატების. (მათარიდან წყაღს ასმეგს. პურს აწვდის) აბა, დალო! მოგაბრუნებს... აი, ეს პურიც! შენი სისუსტე დღეს სიმშობლა გამოიწვია და ხვალ, ვინ იცის, რა მიზეზით წამოიჩოქებს... **ბერლო.** (ქამისგან მობრუნებული) რა მომივ და?

ბეღია. არაფერი! ჰსურობდი მხოლოდ! და დაბრუნებას აპირებდი უკან უდროოდ. **ბერლო.** არა! (ცილს მწამებს) მე სინშილი რას დამაკლებდა? **ბეღია.** მართლაც და — აბა, ესდენ ძლიერს რას დაგაკლებდა? აკი ვითხარ, თუ ჩემთან ისე, ჰსურობდი მეთქი, რომ მეც სურსათი მომიწოდნა.

ბერლო. დამცინი, ბეღო! **ბეღია.** არა, ძმობილო! დასაცინი დაცინვად არ ღირს! ვფიქრობდი სტომამც შემდეგისთვის რა სარჩო მივცეტო, რომ საზიზღარმა შუა გზაზე არ შეგვაყენოს და უნებურად მანე სწორედ აქ არ დაგივოს, სად სულისათვის სახიფათო იქნება მეტად!

ბერლო. შენ საგანს უხევეს! **ბეღია.** აბა, აბა! **ბერლო.** სად არის იგი? **ბეღია.** თურმე რისთვისაც ვიხუმრია, ესლა კი მესმის. გამოთამამდი შენს მეგობარს... კუქს დავაბრალე (ციინის გამკილადავად)

მაგრე იტყვი... აკი ვითხარ, ახლოა-მეთქი! **ბერლო.** ახლოა? როგორ? **ბეღია.** მოთმინება და მალე ჰნახავ! **ბერლო.** ეს „მალე“ რაა? ერთი სწრაფი თუ საუკუნე? **ბეღია.** ორივე ერთია! საუკუნეც ვგრევე სწრაფია.

ბერლო. ბრძნულ მეტყველებს შემდეგისთვის გამოიყენებთ. შენ იგი მითხარ, იგი, იგი! სად არის იგი? **ბეღია.** (რასაც ვხლა იტყვის ცხადივ ხდება) ავერ, ხომ ჰხედავ. ტუის ნაპირზე ქალნი ჩნდებიან. რა ნახს რხევით მშვენიერი ახლოვდებიან. ავერ წალკოტში კარდმოვლენ, ყვავილსა ჰკრეფენ, გესმის, რა რიგად კისკასებენ, მხიარულობენ! შენთვის ისინი გამართავენ ლხინს, დღესასწაულს... ყველა მათგანი ვაჩვენებოთ ჰვავს შენს ცისიას.

ბერლო. მაგრამ მათ შორის — ჩემი ხვედრი რომელი არის? **ბეღია.** რომელსაც უფრო შენი სული მიეთვისება! **ბერლო.** სახელდობრ, მითხარ, რომელია? **ბეღია.** თუნდ ყველა ერთად! წინააღმდეგი არ იქნება შენი ბეღია! (უძახის)

ჰეი ასულნო, მშვენიერი! არ შეიძლება ჩვენც მიგვიწვიოთ თქვენს ფერხულში? **ქალები.** დეგო ვინ გვინმობს? დავბრუნდეთ უკან! — ამას ნუ ვაგსცემთ! — ჩქარა წავიდეთ!

ბეღია. ასულა ტურფა! **ტურფა.** ვინ ასწავლა ჩემი სახელი? **ბეღია.** ქალო, მზეონავ! **მზეონა.** ჩემ სახელსაც იძახის იგი! **ბერლო.** მაგრამ ცისიას არ უძახი? **ბეღია.** ის შენს სულშია! —

როს ერთერთს მათში შეიყვარებ და სულს მიუძღვნი, მას შენი ძღვენი თვით შენშივე ცისიად აქცევს. **ტურფა.** ბეღია, შენ ზარ? **მზეონა.** ის ყოფილა! (წენი ბედიკო! **ბერლო.** სიდან ვიცნობენ? **ბეღია.** ქალო მუდამ ჩემს კითხვაშია! უმეტეს მაშინ, მოასწყვეტად ოდეს მწიფდება! ცნობის მოყვარეთ მოუსმინე! **ქალები.** (გარშემო შემოერთქმანი) სიდან მოსდიხარ! — ჩემსას რას იტყვი! — სად ჰყოფილხარ? — რას განმიზადებ? — ჩემს მომავალზე აღო რზუნავ! — მე ვის ვუყვარვარ? — ჩემი მიზნური ვინ იქნება? — ჩემი სიძვი, ჩემი! — ვის შემახვედრებ?

ბეღია. (ჰსურს თავიდან მოიცილოს) კოქლს. **ერთი ქალი.** მე? **ბეღია.** ბრმას! **მეორე ქალი.** მე? **ბეღია.** შენ? კუზიანს!

მესამე. (ქალებს) დავიღვათ თვალი! — მე მითხარ, მე ჩემი ბედიკო! **ბეღია.** შემიკულს ყოველგვარ სილამაზით: მახინჯს და ცერცებს! (გაბრაზებულად ყველას ჩამოუთვლის) შენ: ღარიბ-ღატაკს; შენ: ზარმაცს, ლოთს; შენ სულ არვის! შენ გაუთხოვრად დაგაბერებ... ესლა? ხომ გესმით! **ქალები.** (ნაწყენები აქეთ-იქით შემოეცლებიან) დღეს გუნებაზე არ ყოფილა ჩემნი ბეღია! — ვაგვრისხება! — მე არ მწყალობს.

— გული მომიკლა! **მზეონა.** რაზე გვიწყობები? **ტურფა.** მითხარ ჩემო! რა გეწყობს? **ბეღია.** მოგსულვარ შენთან, თან რჩეულიც მომიყვანია! სალამს არ აძლევ! **ტურფა.** (ბერლოს) შენი მოსვლა მე გულს მიხარებს! **მზეონა.** ნება მიბოძე ვაგიბედო, ყრმაო შევთვალავ... შენ თუ პატივით ვერ მოგაყვარენ ჩემნი დობილინი, ეს სითამამით აიხსნება.

ბერლო. თითქოს ის იყოს! **ბეღია.** (ბერლოს) ექვიც რომ მალე დაგეკარგოს? **ტურფა.** ნამგზავრი სჩანხარო! **ბეღია.** სად არ ვიარეთ! **ბერლო.** (მზეონას უმხერს) რა ახლო კი ყოფილა იგი! **ბეღია.** განა არ ვითხარ? **ბერლო.** მუდამ მართალს მეტყველებ ხოლმე! **ბეღია.** მაგის ექვი კი ძრიელ მალე შეგეკარება! **ტურფა.** ნება მიბოძე მივიწვიოთ ჩემს სასახლეში... **ბეღია.** ცუდს რას ისურვებ? — თანახმა ვარ — გვონებ მეგობარს... **მზეონა.** უკვე ვუცნვივარ... მე ვუყვარვარ, არა ბეღია? **ბეღია.** მეც ვგრე ვკონებ, მაგრამ, გირჩევთ, თვით მაგას ჰკითხოთ!

მზეონა. (ბერლოს) ჩვენს სასახლეში სიხარული ღ შევბა მეფობს... ჩვენ წინ ბაღია, შეგ ფრინველნი ტკბილად ვაღლობენ. იქ ყოველ დღით სიყვარულის ვარდი იშლება და სულს იტაცებს ოცნებისთვის ნაწ სურნელებით. იქ გიმღერ **ტურფა.** (აწყვეტინებს მზეონას და თვით განაგრძობს) ტრფობას! ჩემს ძახილსა თუ გამოჰყვები! ჩემი სიმღერა დობილისას სრულებით არ ჰგავს! ჩემს სასახლეში თვით შევბასთან განცხრომაც მეფობს! **ბეღია.** აწ შენი გრძნობა სუფევს ქალთა სამფლობელოში და ჯერ არ იცო...

ბერლო. ვიცი, ვიცი ჩემს გრძნობას ვკარგავ! **ბეღია.** კიდევ კარგია, სულ მიღიდ თავიც არ დაგიკარგავს **ბერლო.** ესენი, მითხარ, ვინ არიან? **ბეღია.** ცხოვრების ლანდნი! რომელთაც ჰნახავ, როს ცხოვრების ტალღაში შეხვალ! **ბერლო.** მე ის მინდოდა... **მზეონა.** ვინ ის? **ბერლო.** ტურფა!

ბეღია. იქნებ ცისია? **გვონებ** შეცდომით ამბობ ტურფას, გულში სხვა გიძევს. (ავაგრებს) „ახ ის აქ იყო, ამ ადგილას... და ვერ მოვუწწარ. „ამ ვარდ-ყვავილებს ჩაუარა, სალამი მისცა... „ჩემი ცისია ჩემთან ერთად შენათვისია! **ბერლო.** გარწმუნებ იგი აქ ყოფილა! — ჩემი ცისია! **ბეღია.** ჰო, როგორ არა! **ბერლო.** კვლავ დამცინი! **ბეღია.** შენს რწმუნას ვფიცავ! **ტურფა.** ჩემკენ ისწრაფე! **მზეონა.** ჩემთან წამო!

მზეონა. ჩემს გულს მიენდე! **ბერლო.** მაგრამ თვით ჩემში უცნაური ბრძოლა სწარმოებს: — „დაჰყე მათ სურვილს!“ — „არა! სხვაა შენი მიზანი!“ მითხარ, ვინ მეტრძვის? ვინ მაკავებს? ან ვინ მამხნევებს? **ბეღია.** აქ თუ ისჯელე, დრო ხელიდან გაგებარება! **ბერლო.** ის მიხმობს! გესმის? **ბეღია.** მე კი მხოლოდ აქ მყოფებს ვხედავ! **ბერლო.** ჩემს სულს ჩაჰხედე! მას ვერ ამჩნევ? — არა, არ მინდა! თქვენთან საერთო არა მაქვს-რა! ვერ წამოგყვებით! — მოიცა ქალო! ო, შენს სახეს, მშვენიერ თვალს არ ძალმძის გულით თან არ ვსდიო! ბედიაც უთხარ!.. უთხარ, ძვირფასო, ნუ მსტოვებენ! ის მომამორე! ან აქ მამყოფე, ან წამიყვან... ჩემს თავს რა ჰხდება! ვინ არის ჩემ წინ ჩემის სახით რომ მეცხადება? ერთხელ წყაღში რომ ჩავახედე, ეგ იქაც ვნახე! ნუ თუ გაიყო ორ ნაწილად ჩემი არსება? (ბერლოს წინ სდგას თავისივე ბრძოლისებური მსგავსება). ნუ თუ შენც მე ვარ?

მზეონა. მე ცისიას მოტრფიალე ვარ! **ბერლო.** მეც მას ვეტრფოდი, მიველტოდი — იგი აქ ვპოვე... და მას არსებულს ტურფა ჰქვია! **მზეონა.** ტურფა არ მესმის! **ბერლო.** არც მე — ცისია! მე მას ჯერვარ რაც ნამდვილია! რასაც მე ხელით შევებები — სხვა ამიაო! **მზეონა.** მე კი მას ჯერ ვარ, რასაც სულა მიესწრაფება! აქ სამუდამო სიციხეა და უკვდავება! **ბერლო.** ჩემს ხორცს სწყურია სულ სხვა გვარი მშვენიერება! მომიბზრდა მუდამ განყენებულ სიტყვის ძიება! უნდა წავიდე!

ბეღია! სად? **ბერლო.** არ ვიცი! **მზეონა.** ჩემს ცისიასთან! **ბეღია.** სადაც შენ მიხვალ, მას არსებით ცხოვრება ჰქვია! გასწი, წავიდეთ! ვნახოთ მისი ტალღების სრბოლა! **მზეონა.** სად? სად მისდიხარ? თავო ჩემო, უკან დაბრუნდი!

(შემდეგი იქნება)



დებულ აქტით, ამგვარადვე მოსალოდნელია ისტორიოგრაფია იძულებული გახდეს დაჰყოს კულტურული კატობრობის ისტორია ორ მთავარ ნაწილად, ერთი ნაწილი მოსთვინოს ომამდე და მეორე მოსთვინოს ომის შემდეგ, იმდენად დაშორებული იქნება გარეგან გამოხატულებით და შინაარსით ამ ომის აქტ და იქით მდებარე ხანა.

ყოველ ისტორიულ ეპოქაში, სხვა მრავალ გარდასაწყვეტ საკითხთა შორის, ყოველთვის მოიპოვება ისეთი საკითხი, რომელსაც ცენტრალი ადგილი უჭირავს და რომლის გარდასაწყვეტა ჰქმნის მთელს ეპოქას და რომელიც მანერებელია ერთგვარი ზოგადი კოლექტიური აზრისა და სულიერი მოთხოვნების გარკვეული მიმართულებისა. თუ საფრანგეთის დიდ რევოლუციას წილად ხვდა თვისი ბასრი მახვილი აღმართა წოდებრივ და საზოგადოდ სოციალურ უთანასწორობის დასარღვევად, თუ შემდგომი ხანები შეიძლება დაეხასიათოდ, როგორც ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულ კლასობრივ განსხვავების წინააღმდეგ, — დღეს ქვეყნად მოდებულ კოცონს ცხად ჰყოფს რომ შეუძლებელია ქვეყნად არსებობდეს ეროვნულად დაჩაგრული და უფლებდა ახლილი ერი, დღევანდელი საშინელება გვეუბნება, ვიდრე ყოველი ერი არ იქნება უფლებამოსილი, მთავარი მიზეზი ომისა მუდამ იარსებებს. მეტად მწვავედ და გაღატაკით არის წამოყენებული ეროვნული საკითხი; მას ვალდებული ანგარიში გაუწიოს ყველამ, ვისაც გული შესტკივა სამშობლოსათვის, მას ზურგს ვერ აუხვევს მოღვაწე, უკეთუ იგი გულწრფელად აღიარებს ეროვნულ კუთვნილებათა დაცვას.

კატობრობის კრიზისი უკიდურეს წერტილამდე მიხსნული. ეხლა აღარავის გამოადგება ზერტყვერდ მოქცევა და კინკლაობა: პირდაპირ და გარკვევით უნდა გამოითქვას აზრი, რომ გაუგებრობამ ცთონილებაში არავინ შეიყვანოს. ძველ კერპებს დღეს განგოზილი პიედესტლები ეცლება და უმწეოდ დამახინჯებულ ნაკუმშად ყრია. თვით ინტერნაციონალური სოციალდემოკრატია გაბედულად და უშიშრად სტოვებს ყოფილ პოზიციებს და საქვეყნოდ ხმა მალდოდ ამბობს იმას, რის გულისთვისაც სხვებს სულ ახლო ხანში სამარცხვინოს ბოძზე აცვამდნენ და ხალხის მტრობას უკეთობდნენ. „მდგომარეობა ისეთია, რომ თავისუფლებას სხვაფრთხივ მივახსენებთ, თუ არ ეროვნული თავდაცვით“ (კურსივი ჩენია). ამ სიმართლით აღსავსე დებულებას ხელს აწერს გიორგი პლენხანოვი, ლევ დვირი და სხვა მუშათა პარტიის ბელადნი... ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი ვალაამის ვირს უნუგეშო მდგომარეობამ სიტყვიერება მისცა, რათა მწუხარება ამოეყენეს... ისევ გვიან, ვიდრე არასოდეს! ნუ შეგერცხება შეცდომის გასწორებისა, უკეთუ იგი ერს სარგებლობას ანიჭებს. მხოლოდ ეროვნული გრძნობის გაღვიძება, აღიარება იმ მარტივი და ქვეყნობრივ რწმენისა, რომ დაცვა ეროვნული თვითმყოფლობისა და უარესი განვითარება ეროვნული თვითშეგნებისა იქნება თავადები ერისავე, როგორც ერთეულის, კეთილ დღეობისა!

ვაი იმ ერს, რომელსაც გამოცლილი აქვს უნარი ისტორიულად შესისხლ-ხორციებულ თვისების შენახვისა და რომელიც შეუპოვრად არ გაებრძობება ნაძალადევად მის გადაგვარებულ მიზეზებს!

რ. ინგილო.

პროვინციის პროვინცია

11 ოქტომბერს დილის აშბით აკურთხეს ახალი კომერციული სასწავლებელი. — კომერციულ სასწავლებელში ქართულ ენის მასწავლებლად დაინიშნა მლ. სპირიდონ ლევიშვილი. — ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკა, რაღაცა მიზეზთა გამო დაკეტულია. — 12 ოქტომბერს ქუთაისის სამოსამართლო სესია გამგზავრა ოზურგეთს, სადაც უნდა გაარჩიოს რამდენიმე საქმე. — სოფლებიდან ქალაქში სანოვავე ძლიერ მცირე შემოდის. ზურდა ფული არც ქუთაისში იშოვება დღე-ღამეობით დიდი აურ-ზაური ტყდება ხოლმე ქუჩებში ხერდა ფულის გამოხობით. — შემოსი ფასი ძალზე მატულობს. — ამინდები კვლავ ცუდია.

დ. ჩოხატაური. ახლად გახსნილ პირველ-დაწყებით უმაღლეს სკოლაში მასწავლებლად ამირჩიეს სტუდენტი-კომერსანტი ა. ცინცაძე.

ჩოხატაურის მიდამოებში რთვლობა უკვე დასრულდა, მოსავლი ზოგ ადგილას ისე მცირე იყო, რომ მხედველობაშიც არ არის მისაღები, შიმშილობა კარს ადგას ჩოხატაურის მხარეს.

სოფ. მუხრანის. წელს ჩვენსკენაც მოუსავლობაა, შიმშილი უკვე იწყო თავისი სიმკაცრე. ამას წინედ შეიკრიბნენ ადგილობრივი წვირი კრედიტ-კოოპერატივის წარმომადგენლები და ბჭობა ჰქონდათ თუ ხალხს რა გზით მიაწოდონ სათესლე და საკვები სანოვავე. სამწუხაროდ ყრილობამ ვერაფერი გადაწყვიტა, რადგან აქეთ ახლად ფეხმოკიდებული წვირი-კრედიტ-კოოპერატივები მეტად ღარიბნი არიან და ასეთი დიდი საქმის მოწყობას სხვის დაუხმარებლად ვერ შესძლებენ.

სოფ. ხაბუშე. (ქუთ. მხარა) ამ რამდენიმე ხნის წინად სოფ. წალენჯიხიდან ხაბუშეში გადმოიტანეს სასამართლო და სკოლა. გადმოიტანლ სასამართლოთი და სკოლით უნდა ისარგებლონ მახლობელმა სოფლებმა, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, რადგან სოფ. ხაბუშეს ირგვლივ დიდი მდინარენი ჩამოედის და ხიდი კი არსად არის. საქირთა თვით სოფელმა იზრუნოს ხიდის გასაყეთებლად და შეიგნოს, რომ კერძოდ მისთვის არ არის კარგი ასე მოწყვეტილად ცხოვრება.

ლვინის გასაღება

კახეთიდან ცნობები მოდის, რომ წრეგანდელმა მოუსავლობამ და უღვინობამ ზევრს გააბედინა ლვინის გაყალბება წყლის და შაქრის მიმართებით, ე. ი. ვერედ წოდებულ „პეტროს“ ანუ შამანის მომზადება. ასეთი ცნობები ნამეტნავად ეხება თელავის მხარას, საცა თითქმის მორიდებულად და ახლილად აყალბებენ ლვინოსაო. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ფართო ხასიათი აქვს მიღებული ასეთ სამწუხარო მოვლენას, მაგრამ მისი განდევნა და თავიდანვე მოსპობა აუცილებელ საქმიანობას წარმოადგენს. ყველა პარტიოსანი მევენახე უნდა ებრძოდეს ამ სენს, თუ არა სურს საბოლოოდ წახდინოს კახეთის ლვინის სახელიც და ბაზარიც. მაგალითი საფრანგეთისა, საცა ლვინის გაყალბებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მთელი რევოლუციის გამოიწვია ნამდვილ მევენახეთა შორის, ყოველთვის თვალწინ უნდა გვედგას, რომ დროით ავიციდნით ყოველგვარი განსაცდელი. სწორედ უკანასკნელ დროს გამოიცა კანონი ლვინის გაყალბების წინააღმდეგ, დაინიშნენ აგენტებიც რომ თვალყური ადევნონ ლვინის ბუნებრივობას და ამ დროს უფრო იჩინა თითქო სიყალბემ.

მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტის ვალია თვალ-ყური ადევნოს ასეთ არა სასურველ მოვლენებს და განუმარტოს ყველას, თუ რამდენად მავნებელი და უკანონოა იგი. მართალია, ამბობენ, რომ კანონი ერთგვარ სიყალბეს არა სდევნისო, სახელდობრ წყლითა და შაქრით ზომიერ შეხავებას ლვინისას განსაზღვრული პროპორციით, მაგრამ ჯერ ერთი ეს სასტიკად განსაზღვრული უნდა იყოს და მეორეც — კომიტეტი მოვლენა დაიცვას სიყალბისაგან მომხმარებელიც. ფასსაც არ ერიდება, რომ ნამდვილი ბუნებრივი ნაწარმოები მიიღოს და ამ დროს დარწმუნებული არ არის,

რომ მისი უნებ დასხმულ შაქარ-წყალს არ აწვდიან. საზოგადოების, პარტიოსან მეურნეთა და კომიტეტის შეთანხმებულ მოქმედებაზე დამოკიდებული თუ რა უტებარ წამალს გამოუნახავენ ამ ახალ ავადმყოფობას კახეთში. ამაზედ მივაქცევთ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს.

წერილი გაკოდან

ნათის სამეფო — ბაქო ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრია მთელ რუსეთში. ამ ქალაქის მიდამოები დაუშრეტელ სიმდიდრის წყაროდ გადაქცევი იმათ, ვისაც თანამედროვე ცხოვრებისათვის ალლო აურთხევია და მოხერხება, მხნობა და გამჭრიახობაც გამოუჩენია. მოსალოდნელი იყო ჩვენი ხალხი ამ მეზობელ მხარეში, რომელთანაც საქართველოს თავიდანვე დაახლოვება და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, თვალსაჩინო ადგილს დაიჭირდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვაჭრობა-მარეწველობა უკანასკნელ დრომდე სამარცხვინო ხელობად მიგვაჩნდა და თვით შუაგულ საქართველოშიც ჩვენზე დაუდევრობით და უზრუნველობით მრავალგვარი სიმდიდრე უტხოვლებს ლუკმად გაზაღდათ.

სამედიცინოდ, ამ ბოლო დროს ჩვენშიაც იგრძნეს, რომ დღეს არსებობს თვის ბრძოლა ხალხთა და კერძო ადამიანთა შორის ცხოვრების აუცილებელ პირობად გიმხდარა. ბრძოლა იგი ამ უნდა წესიერ ურთიერ განწყობილებად და ნორმალურ მდგომარეობად არის მიჩნეული. მართალია ამ ბრძოლის დროს თოვ-ზარბაზნების ქვეა-ქუხილი არ გაიხსნის; მართალია ამას შვედობიან ბრძოლას უწოდებენ, რადგან წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლის სამეფოში ხდება, მაგრამ ნამდვილად იგი უსაშინესეს სისხლის ღვრის დროს განადგურებაზე უფრო თავზარდაშეკეცი და მომავლინებელია დამარცხებულობის. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ძლიერმოსილი გერმანია, რომლის დღევანდელი საარაკო გამარჯვება ახსნას პოლულობს მშვიდობიან დროს წარმოებულ გონივრულ ინტენსიურ ბრძოლასა და გამარჯვებაში.

ამ მხრივ, როგორც ვსთქვით, ქართველობა შეინძრა. დღეს, მაგ., ბაქოშიც ქართველები საქმიან ძალას წარმოადგენენ, ფაცი-ფუციობენ, შრომობენ ირგვლიან და საქმეებს აკეთებენ, რომელთა შორის არა ერთი და ორი თვალსაჩინო შეძლების პატრონიცაა და მომავალში, დარწმუნებული ვართ, მათი რიცხვი კიდევ უფრო გამრავლებს.

არა ნაკლებ სასიამოვნო მოვლენაა, როდესაც პედაგოგთა, რომ ბაქოელი ქართველობა დღიურ ჭირ-ვარამისა და ქონებრივ კეთილ-დღეობაზე ზრუნვის დროს ქართული კულტურულ-განმანათლებელ საქმეებსაც არ ივიწყებს. წელს, როდესაც ქართული თეატრი თვით ჩვენს სამშობლოში განსაცდელშია, ბაქოში რევოლუციურად ყოველ კვირაობით ქართული წარმოდგენები იმართება და თეატრის დარბაზი ყოველთვის ხალხითაა სავსე.

რეჟისორად წ. კ. ს. არსებულ დრ. კომიტეტს მოწვეული ჰყავს ნიქიერი მსახიობი შალიკაშვილი. მსახიობათ ქ-ნი ქილაჯიშვილის ასული. დასში მონაწილეობენ ქ-ნი წულუკიძისა, ბ-ნი აწყურელი და გამოცლილი სცენის მოყვარენი. სეზონი გაიხსნა „სამშობლოთი“, მეორე კვირას ითამაშეს „ებრაელები“, შემდეგ — „ქრისტინე“ და კვირას, 11 ოქტომბერს, — „პედაგოგები“ და „ღარისპანის ვასაქირი“.

საზოგადოდ ბაქოელი ქართველობა ფხიზლობს, სიცოცხლის უნარს იჩენს. ვუსურვებთ უფრო მეტს სიცოცხლეს, მეტს გამარჯვებას...

რუსეთის სხოვრება

სანოვავე. 14 ოქტომბერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სადგომში მოხდა საგანგებოდ შეერთებული თათბირი მოლაშქრეთა და ხალხისთვის სანოვაგის მოსაგარებლად.

ახლო მომავალში მოიწვევენ ყრილობას რუსეთის დარბეულ გამოქვეყნულ ბელის გამოსარკვევად. ისევ ხერდა ფულის საკითხი. პეტროგრადადელი ოფიციალი „ნოვ. ვრემ.“ სწერს: — ომის დაწყებამდე ჩვენ გვასაზრდობდნენ გერმანელები, უდარდელად და უშრომელად ვიღებდით ყველაფერს დამზადებულს.

იგივე გერმანელი ამ ხანადაც ჩვენთან არის და ვინ უწყის კიდევ რამდენ ხანს დარჩება? ამ ბოლო ხანს გამოიწვევი მარკებიც გერმანელების საქმეა, ისინი არაფერს ერიდებიან ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის საგნებლად. რუს პრაქტიკის წინადადებას ჩვენ არ ვიღებთ და ამიტომაც არის 1898 წლ. გამოსული გერმანული მასალით დამზადებული მარკები არხინად იხმარება 1915 წელს. რუსეთი სავსეა გერმანეთის მანქანებით და აი ეს უსიტყვოდ გერმანეთი დღეს ჩვენთან, ზის. ქვეით ჩამოთვლილია გერმანთა გვარები, რომელნიც რუსეთის დამხურდავებელ ფულის ექსპედიციას უდგანან სათავეში.

დასასრულ დაასკვნის ვაზეთი, რომ ეს ექსპედიცია კი არ არის არამედ გერმანების კოლონიაო.

დეკემბერი

პარიზი, 16 ოქტ. გუშინ საღამოს სასტიკი ომი ასტყდა. გერმანელები ებრძობა მიაკვთ ენის ჩრდილოეთით პიუზალენისა და კენევიერის სექტორში. შამპანში მძაფრი საარტილერიო სროლაა.

ლონდონი, 15 ოქტ. კრესიერი „არგლი“ გაირიყა. ჰეიქრობენ, დაიღუპო, თუმცა მთელი კომანდა გადაჩრჩენილია.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რეჟის გენის მიმოსვლა.

ქ. (ხმელსენს დრო)

მიმოსვლა: მრავალფეროვანი საარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ. 8 ს. 58 წ. გურჯაანში მიდის ნაშუადღევს 3 ს. 53 წ. გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს . . . 4 ს. 53 წ. თელავში მიდის ნაშუადღევს 5 ს. 35 წ. გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ. წნორზე მიდის . . . 5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის 8 ს. 58 წ. გურჯაანში მიდის 10 ს. 26 წ. წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის 10 ს. 16 წ. გურჯაანში მიდის 10 ს. 16 წ. გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის 10 ს. 46 წ. თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

ამიერ-კავკასიის რეჟის გენის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან 12 ს. 54 წ. დღ. № 4 ბათიმიდან 5 ს. 55 წ. საღ. № 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. საღ. № 10 ბათიმიდან 9 ს. 51 წ. დილ. ჯულიდან 6 ს. 53 წ. დილ. ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დილ. „სავარ. 10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათილისკენ 1 ს. 45 წ. დღ. № 4 ბაქოსკენ 7 ს. 3 წ. საღ. № 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ. № 9 ბათილისკენ 8 ს. 03 წ. საღ. ჯულისკენ 10 ს. 23 წ. საღ. ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

თბილისიდან გადის:

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან 12 ს. 54 წ. დღ. № 4 ბათიმიდან 5 ს. 55 წ. საღ. № 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. საღ. № 10 ბათიმიდან 9 ს. 51 წ. დილ. ჯულიდან 6 ს. 53 წ. დილ. ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დილ. „სავარ. 10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათილისკენ 1 ს. 45 წ. დღ. № 4 ბაქოსკენ 7 ს. 3 წ. საღ. № 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ. № 9 ბათილისკენ 8 ს. 03 წ. საღ. ჯულისკენ 10 ს. 23 წ. საღ. ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

ახალი სიტყვა („НОВАЯ РЪЧЬ“).

ი. დ. კიციანი.

თბილისი. გოლოვინი პრესპიკტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნარი ახალი რულობით ყოველნარი ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეოს, საქარისო, სასკოლოს, სახელოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქართიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

ქ. ქუთაისში 1915 წლის 15 ოქტომბრიდან, გამოვა ახალი ყოველდღიური სალიტერატურო და საპოლიტიკოგაზეთი

„მეგობარი“

გ. მაიაშვილის და კიკა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით. ვაზეთი ელირება წლიურად — 8 მან; თვეში — 80 კ.; ცალკე ნომერი 5 კაპ. პირველ ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე — 2 მან. 50 კაპ. ვაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.

მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა, კილაძის სახლი, „მეგობრის“ რედაქცია.

რედაქტ.-გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

1 მისიდან ქ. თბილისში გაიხსნა შურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს ვაგვავნებთ შემდეგი ცხოვრებით: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „მე მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკასიური სლოგო“, „თბილისის ლისტოკი“, „თრონიონი“, „მშაქი“ და „საბაბაბა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ზავი“ ი. გომარტოელისა, „მხოვლი ომის ეკონომიური მიზეზები“ — მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“ — ბეგლარ ახოს-პირელისა, „კოოპერატივები იტალიაში“ — ნ. კორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებული არიან მთელი თვით დაკვეთილი ვაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлиси, почт. ян. № 96, Сильвестру Р. Таварткидзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თავის მრავალნი

ამ. მეგობრობები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

მოველდე მოვედის საკუთარ და სავაქრო სახლ. „ლ. შანილოვის-შვიტი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილადა, მცირე მარილიანი, შავი „მეშონი“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარით, ფარვა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფორმებისა ხანგრძლივ ინახება.